19/08/2026

MES 0 26 0001066932

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.08.2026
სხდომის დაწყების დრო: 12:10
სხდომის დამთავრების დრო: 14:00
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (I, II, III საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: ვასილ გონაშვილი (IV, V, VI, VII საკითხები)
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია (I, II, III, VI, VII საკითხები)
სხდომის მდივანი: ციური დურული (IV, V საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 5 აგვისტოს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე;

3. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
6. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ივანე აბაშიძე -** სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
12. **ნინო მინდიაშვილი-** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლია ხარებავა** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
2. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
3. **თამთა მოხევიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - ევროპის უნივერსიტეტი:

- ნინო ტალიაშვილი - უნივერსიტეტის რექტორი;
- ნიკოლოზ ფარჯანაძე - ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
- სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
- სოფიო სამხარაძე - სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
- თინათინ გოგნაძე - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- თეა კახაძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

- ყარამან ქუთათელაძე-რექტორი;
- ნოდარ ამაშუკელი-პრორექტორი
- ნინო სიხარულიძე-ვიცე-კანცლერი;
- მაია ქოიავა-საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- თამარ შავგულიძე-სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ირინა კაციაშვილი-საფინანსო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;
- თამილა ლომაძე-ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
- ნანა იაშვილი-მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
- გია იაშვილი-დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
- ნანა ქუთათელაძე-არქიტექტურის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
- ანა კლდიაშვილი-რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
- რუსუდან ერისთავი -მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- **ია მოსაშვილი** (თავმჯდომარე) -I საკითხი
- **მარიამ დარბაიძე** (წევრი) -I საკითხი
- **მელიტა მელიქიშვილი** (წევრი) -I საკითხი
- **თამარ ჩხეიძე** (თავმჯდომარე)- II საკითხი
- **გაგა გვენეტაძე** (წევრი)- II საკითხი
- **თამარ თხელიძე** (წევრი) - II საკითხი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომას I, II და III საკითხების განხილვის დროს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო IV, V, VI და VII საკითხები განხილვის დროს - თავმჯდომარის მოადგილემ, ვასილ გონაშვილმა.
„ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, I, II, III, VI და VII საკითხების განხილვის საბჭოს მდივნის ფუნქციები შეასრულაა ზურაბ ქავთარიამ, ხოლო IV და V საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარის დავალებით სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა საბჭოს წევრმა ციური დურულმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შესახებ.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა, კერძოდ, საბჭოს დამატებით განეხილა შემდეგი საკითხები:

1. შპს - ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 29 ივნისის №81246 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 22 ივნისის №776447 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 3 ივნისის №663413 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 25 და 28 მაისის № 620861 და №634925 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
5. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 20 მაისის № 594470 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობები დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შესახებ;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 29 ივნისის №81246 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 22 ივნისის №776447 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

5. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 3 ივნისის №663413 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 25 და 28 მაისის № 620861 და №634925 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
7. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 20 მაისის № 594470 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ნათია ჯოჯუამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე. მისი შეფასებით, შეფასების პროცესშივე გამოიკვეთა, რომ ბოლო ავტორიზაციის შემდეგ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან ინსტიტუციურ პროგრესს მიაღწია. აღნიშნული გამოიხატა ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებაში, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერებაში, სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, კლინიკური ბაზების გაფართოებაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ზრდასა და რესურსების გაძლიერებაში. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ცვლილებები უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის პოზიტიურ საფუძველს ქმნის. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტუდენტთა კონტინგენტის 14 000-მდე ზრდის მასშტაბი უფრო დეტალურ და გაზომვად ინსტიტუციურ

დაგეგმვას საჭიროებდა. კერძოდ, დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში არ იყო ასახული განვითარების ეტაპობრივი გეგმა, წლიური სამიზნე მაჩვენებლები და ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გადანაწილება. აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარუდგინა, თუმცა, როგორც ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, იგი არ იყო ინტეგრირებული სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში.

ამასთანავე, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების მკაფიო ინდიკატორების განსაზღვრა, რაც ექსპერტთა ჯგუფს ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარების ადეკვატურად შეფასების შესაძლებლობას მისცემდა. აღნიშნული გარემოებები გახდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა 14 000 სტუდენტამდე კონტინგენტის ზრდა ასახოს სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში, როგორც ეტაპობრივი და გაზომვადი ინსტიტუციური განვითარების გეგმა, განსაზღვროს ზრდის პერიოდი, ყოველწლიური და ფაკულტეტების/პროგრამების მიხედვით სამიზნე მაჩვენებლები, ზრდის თითოეულ ეტაპზე გადასვლის წინაპირობები და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, სტუდენტური და სხვა მხარდაჭერის რესურსების განვითარების მაჩვენებლები."
ექსპერტთა ჯგუფის ყურადღების საგანი ასევე იყო მმართველობითი პოზიციების დროული დაკომპლექტება. ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი მმართველობითი პოზიცია ხელმძღვანელის გარეშე ფუნქციონირებდა. ექსპერტთა შეფასებით, სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი მმართველობითი და ადმინისტრაციული სტრუქტურების სათანადო დაკომპლექტება. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა მნიშვნელოვნად მიიჩნია ბიზნესუწყვეტობის რისკების სათანადო მართვა, ასევე პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის სისტემური მონიტორინგი. ამ მიმართულებით, ჯგუფის შეფასებით, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ყურადღება გამახვილდა ასევე QMS-ში ასახული მონაცემების რეგულარული გადამოწმებისა და ვალიდაციის საჭიროებაზე. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში ახალი კამპუსიც დაათვალიერა. თუმცა, როგორც ექსპერტმა განმარტა, აღნიშნული გარემოება შეფასებისას ვერ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან კამპუსი იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში არ იყო და ექსპლუატაციაში შესული არ ყოფილა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

- „სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკვანძო მმართველობითი და ადმინისტრაციული ვაკანტური პოზიციების დროული შევსება, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სასწავლო მიმართულებით ვიცე-რექტორისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების პოზიციების დაკომპლექტება, რათა გაძლიერდეს მართვის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესების კოორდინაცია და ეფექტიანობა."
- „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 14 000-მდე გაზრდის პირობებში უნივერსიტეტმა ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში მკაფიოდ ასახოს გაზრდილ კონტინგენტთან დაკავშირებული ოპერაციული, ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების მართვის რისკები, განსაზღვროს მათი პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისა და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობა."
- „უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს QMS-ში ასახული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მონაცემების რეგულარული გადამოწმება,

ვალიდაცია და ფაქტობრივ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე შეუსაბამობების დროული გამოვლენისა და გამოსწორების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა."

- „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა არ დაუშვას სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შედეგად აკადემიური, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის თანაფარდობის ისეთი გაუარესება, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სტუდენტთა მომსახურების ხარისხზე, აკადემიურ მხარდაჭერასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობაზე. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა უნდა განხორციელდეს პერსონალის რაოდენობის პროპორციული ზრდისა და შესაბამისი მონიტორინგის პირობებში."
- „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ახალი კამპუსის ექსპლუატაციაში სრულად ჩართვამდე უზრუნველყოს მისი ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო გარემოს სრული მზადყოფნა, რათა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურება განხორციელდეს ხარისხის სტანდარტების სრული დაცვით."

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის ინფორმაციით, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ჯგუფმა დეტალურად განიხილა. ერთ-ერთ საკითხთან, კერძოდ, აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი განმარტებები ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა, რის საფუძველზეც შესაბამისი რეკომენდაცია რჩევით ჩანაცვლდა.
რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ ქმნიდა რეკომენდაციების მოხსნის საფუძველს.
საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი განვითარების პოტენციალი და ძლიერი ინსტიტუციური საფუძველი აქვს. თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სრულად ვერ დადასტურდა მოთხოვნილი 14 000 სტუდენტიანი კონტინგენტის შესაბამისობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულება მზად არის მიიღოს მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები და შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, ექსპერტთა ჯგუფს მიმართა შეკითხვით და დაინტერესდა, კონკრეტულად რას გულისხმობდა ჯგუფი იმ შეფასებაში, რომლის თანახმადაც, დაწესებულებას სტუდენტთა კონტინგენტის ზრდასთან დაკავშირებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები უფრო დეტალურად, წლების მიხედვით, შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებისა და ინდიკატორების მითითებით უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი. მისი განმარტებით, დაწესებულების სტრატეგიული გეგმა წლების მიხედვით საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი, მათ შორის, ცალკე და დეტალურად არის წარმოდგენილი 2026 წლის სამოქმედო გეგმაც.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ია მოსაშვილის, განმარტებით, დაწესებულებამ ჯგუფს შესაბამისი გათვლები წარუდგინა, თუმცა მათი შეფასებით, სამოქმედო გეგმაში, სულ მცირე, მომდევნო სამი წლისთვის დეტალურად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ზრდის ეტაპები, სამიზნე მაჩვენებლები და თითოეული ეტაპისთვის საჭირო რესურსები. მისი შეფასებით, 14 000 სტუდენტამდე ზრდის მასშტაბიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაცია დოკუმენტებში მკაფიოდ და გაზომვადი მაჩვენებლებით უნდა ასახულიყო, რაც ექსპერტთა ჯგუფს სტუდენტთა კონტინგენტისა და შესაბამისი რესურსების ეტაპობრივი განვითარების შეფასების შესაძლებლობას მისცემდა.

საბჭოს წევრის, ციური დურულის მოსაზრებით, დაწესებულების მიერ რაოდენობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო, რის გამოც მან დამატებითი განმარტების მიღების მიზნით დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა.
უნივერსიტეტის წარმომადგენლის, ნინო ტალიაშვილის, განცხადებით, სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი მომდევნო სამი წლის საქმიანობები და ღონისძიებები. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივ ზრდასთან დაკავშირებით, მისი განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებამ ინფორმაცია როგორც ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, ისე არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა. მისი განცხადებით, როდესაც დაწესებულებამ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნით მიმართა ცენტრს, მას უკვე ჰქონდა სრული მზაობა მოთხოვნილი კონტინგენტის მისაღებად როგორც ადამიანური, ისე ფინანსური და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით. რაც შეეხება ექსპერტთა მიერ ნახსენებ მაჩვენებლებს, რომლებიც სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობის გაუარესებას უკავშირდება, აღნიშნული მაჩვენებლები დაწესებულებამ სამიზნე ნიშნულებში უკვე 14 000 სტუდენტის პირობებისთვის წარმოადგინა. მისივე ინფორმაციით, დაწესებულებას არ აქვს ეტაპობრივი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავდა, სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივად ზრდისა და 14 000-მდე მიღწევის შემთხვევაში, რა ოდენობით უნდა გაზრდილიყო ადმინისტრაციული, აკადემიური ან მოწვეული პერსონალის რაოდენობა. თუმცა, უნივერსიტეტმა აღნიშნული მზაობა უკვე დაადასტურა და საბჭოს/ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა მოცულობითი, დამტკიცებული დოკუმენტი - სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი საჭიროებები, მათ შორის, სიმულაციური ცენტრებისა და ლაბორატორიების რაოდენობა, ასევე პერსონალის საჭირო რაოდენობა. მისი განმარტებით, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას აღნიშნული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ყველა ძირითადი რესურსი შეფასდა და არსებული საჭიროებების შესაბამისად განისაზღვრა მათი დამატების აუცილებლობა. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები დაწესებულებამ უკვე გაზრდილი კონტინგენტის პირობებში წარმოადგინა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო ხუნდაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ორი რეკომენდაცია დაწესებულებამ გაიზიარა. კერძოდ, ეს ეხება სარემონტო სამუშაოებსა და ვაკანტურ პოზიციებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. მისი ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოები სექტემბერში დასრულდება და შენობის გამოყენება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება ვაკანტურ პოზიციებს, მისი თქმით, აღნიშნული პოზიციები დროებით არის ვაკანტური და დაწესებულება აქტიურად მუშაობს მათ დასაკომპლექტებლად. აღნიშნული პოზიციები მოითხოვს მნიშვნელოვან პროფესიულ გამოცდილებას, ცოდნასა და შესაბამის კომპეტენციებს, შესაბამისად, მათი შევსება განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მოძიებისთანავე. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც დაწესებულება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადზე მუშაობდა და შესაძლო კონტინგენტის განსაზღვრის მიზნით რესურსებს აფასებდა, საბოლოო გადაწყვეტილება არსებული რესურსებისა და მათი დამატების შესაძლებლობების გათვალისწინებით იქნა მიღებული. მისივე ინფორმაციით, უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით, რომელიც სხვადასხვა ტიპის რესურსს დეტალურად აფასებს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისი ცხრილი, რომელიც ადასტურებდა, რომ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული რესურსების შეფასება განხორციელებული იყო და მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობისთვის საჭირო რესურსები უნივერსიტეტს გააჩნდა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, მეთოდოლოგია ითვალისწინებს აკადემიური და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რესურსების შეფასებას ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. კლინიკური სასწავლო

კურსების შემთხვევაში ფასდება სტომატოლოგიისა და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რესურსი, პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა, აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და სიმულაციური ოთახების გამტარუნარიანობა, მათში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით, ასევე ბიბლიოთეკის რესურსი და მისი გამტარუნარიანობა. მისივე ინფორმაციით, შეფასების პროცესში გამოვლინდა დამატებითი რესურსების საჭიროება, რის შესაბამისადაც უნივერსიტეტმა გაზარდა ყველა შესაბამისი რესურსი. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა კლინიკური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, დაემატა ლაბორატორიები, სიმულაციური ოთახები და გაფართოვდა საბიბლიოთეკო სივრცე. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა იმისათვის, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას გაზრდილი კონტინგენტის მომსახურებისთვის საჭირო მზაობა დაედასტურებინა. მისი განცხადებით, უნივერსიტეტს გააჩნია გაზრდილი კონტინგენტის მისაღებად საჭირო ყველა ძირითადი მატერიალური და ადამიანური რესურსი. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იყო მიმდინარე აკადემიური წლის სამოქმედო გეგმაშიც. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის პირობებში რესურსების ეტაპობრივად გაზრდის გეგმას, დაწესებულების პოზიციით, მისი ცალკე შემუშავების საჭიროება არ დგას, ვინაიდან არსებული მეთოდოლოგიის საფუძველზე საჭირო დამატებითი პერსონალი და სხვა რესურსები უნივერსიტეტმა უკვე უზრუნველყო. მისივე ინფორმაციით, უნივერსიტეტმა დამატებით შეიძინა კიდევ ერთი კლინიკა, გააფართოვა სტომატოლოგიური კლინიკა და ზოგადად მნიშვნელოვნად გაზარდა არსებული რესურსები. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს Excel-ის ფორმატის ცხრილი, რომელშიც აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დათვლილია საჭირო რესურსები და თითოეული მიმართულების მიხედვით დადასტურებულია მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობა. ბიზნესუწყვეტობის გეგმასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სტანდარტის შესაბამისად შემუშავებული აქვს ბიზნესუწყვეტობის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ოპერაციული, ფინანსური, სტრატეგიული და სხვა სახის რისკები. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია რისკების დადგომის ალბათობა, მათი პრევენციისა და მართვის მექანიზმები, ასევე პასუხისმგებელი პირები და მხარეები. მისი შეფასებით, აღნიშნული დოკუმენტი ეფექტიანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტუდენტთა ნებისმიერი რაოდენობის შემთხვევაში. რაც შეეხება რესურსების დამატებასთან დაკავშირებულ რისკებს, დაწესებულება მსგავსი რისკების რეალიზებას არ ელოდება, ვინაიდან შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები უკვე განხორციელებულია. QMS-ის მონაცემებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულება ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში სისტემაში ასახავს პერსონალის დატვირთვის შესახებ ინფორმაციას. მონაცემები მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსებს, რომლებშიც პერსონალია ჩართული, ასევე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულ ჯამურ დატვირთვას. დაწესებულებას ასევე დადგენილი აქვს პერსონალის დატვირთვის შიდა ზღვრები პოზიციების მიხედვით, მათ შორის, პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და სხვა პოზიციებისთვის. აფილირებული პერსონალის შემთხვევაში განსაზღვრულია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაშვები დატვირთვის მაქსიმალური ზღვარიც. მისივე ინფორმაციით, უნივერსიტეტი პერსონალის დატვირთვას აქტიურად აკონტროლებს. ამასთან, სხვა დაწესებულებაში პერსონალის დატვირთვის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულწილად სცდება უნივერსიტეტის უფლებამოსილებასა და შესაძლებლობებს. სხვა შემთხვევებში კი დაწესებულება სრულ პასუხისმგებლობას იღებს სისტემაში ასახული ინფორმაციის სიზუსტეზე და აცხადებს, რომ უნივერსიტეტში დადგენილი დატვირთვის საათობრივი ზღვრები დაცულია. ბოლო რეკომენდაციასთან, კერძოდ, სტუდენტთა რაოდენობისა და პერსონალის თანაფარდობის გაუარესებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა ყურადღება გაამახვილა დასკვნაში წარმოდგენილ მაგალითზე, რომელიც ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობას

ეხებოდა. მისი ინფორმაციით, აღნიშნული თანაფარდობა არსებული მდგომარეობით შეადგენდა 1:150-ს, ხოლო სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში - 1:400-ს. მისივე განმარტებით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით უნივერსიტეტისთვის დასაშვებ თანაფარდობად განსაზღვრულია 1:400. დაწესებულების შეფასებით, აღნიშნული თანაფარდობა მისაღებია, ვინაიდან იგი პრაქტიკაში გამოცდილია. უნივერსიტეტი წლების განმავლობაში აღნიშნული თანაფარდობის პირობებში ფუნქციონირებს და სტუდენტთა მხრიდან მომსახურების ხარისხთან ან ადმინისტრაციული პერსონალის არასაკმარის რაოდენობასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ დაფიქსირებულა. მისი ინფორმაციით, თანაფარდობის ცვლილება განპირობებულია სტუდენტთა სამომავლო კონტინგენტის ზრდით. ამასთან, უნივერსიტეტმა შესაბამისი ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციები უკვე შეავსო. მაგალითად, მედიცინის ფაკულტეტზე დამატებით დაინიშნა რვა სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი შეფასებით, აღნიშნულმა ღონისძიებებმა განაპირობა თანაფარდობის ცვლილება, თუმცა იგი ამ ეტაპზე დროებით და გარკვეულწილად ხელოვნურად შექმნილ მაჩვენებელს წარმოადგენს, ვინაიდან სტუდენტთა რაოდენობა ჯერ არ გაზრდილა, ხოლო პერსონალის დამატება განხორციელდა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურებისთვის წინასწარი მზაობის უზრუნველყოფის მიზნით.
საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით კლინიკურ ბაზებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი დაინტერესდა, გააჩნდა თუ არა უნივერსიტეტს საკუთარი საუნივერსიტეტო კლინიკა, თუ სტუდენტთა პრაქტიკული მომზადება სხვა კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდებოდა და რომელი კლინიკები იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ტალიაშვილის, ინფორმაციით, უნივერსიტეტის საკუთრებაშია ორი საუნივერსიტეტო კლინიკა - ჯო ენის საუნივერსიტეტო კლინიკა და წმინდა მიქაელის კლინიკა, რომელიც დაწესებულებამ ახლახან შეიძინა. რაც შეეხება სტომატოლოგიურ კლინიკას, იგი ასევე უნივერსიტეტის საკუთრებაშია და კამპუსის ტერიტორიაზეა განთავსებული. კლინიკა ორსართულიანია და დაახლოებით 21 სტომატოლოგიურ სავარძელს მოიცავს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:25
დასრულების დრო: 12:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 14000-ით განსაზღვრის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: **0**

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 11 530-ით, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე – 430, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე – 7 800.

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 5 აგვისტოს.

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ ჩხეიძის, განმარტებით, სტანდარტთან მეტწილ და ნაწილობრივ შესაბამისობად შეფასებული რეკომენდაციები უკავშირდებოდა სტრატეგიული დაგეგმვის KPI-ზე დაფუძნებული სისტემის სრულყოფას, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას, ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის კონკურსის გზით შერჩევას, ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამრავალფეროვნებას, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ინტერესთა კონფლიქტის შემცირებასა და დამოუკიდებლობის გაძლიერებას. მან ასევე აღნიშნა, რომ მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით დარჩენილი იყო რამდენიმე საკითხი, მათ შორის, ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ვებგვერდზე ანგარიშებისა და

სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფილი და დროული განახლება. მისი განმარტებით, სწორედ აღნიშნული რეკომენდაციები მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ ან მეტწილად შესრულებულად. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები და შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა, რამდენად ადეკვატურად მიაჩნდათ ექსპერტებს აკადემიის გეგმა ლუბლიანას ქუჩაზე არსებული ქანდაკებების სახელოსნოებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ისტორიულ შენობაში გადატანის შესახებ, ინფრასტრუქტურული მოთხოვნების გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ ჩხეიძის, განმარტებით, ფაკულტეტი და საგანმანათლებლო პროგრამა ახალ შენობაში იყო განთავსებული, ვინაიდან სარემონტო სამუშაოების გამო ფაკულტეტმა ადგილმდებარეობა შეიცვალა. მისი თქმით, აღნიშნულს არ გამოუწვევია ფაკულტეტის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება, მხოლოდ პროგრამასთან დაკავშირებით განხორციელდა გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია და, მისი შეფასებით, ფაკულტეტის ისტორიულ შენობაში დაბრუნება და იქ საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელება სავსებით მისაღებია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო სიხარულიძემ, დამატებით განმარტა, რომ სამხატვრო აკადემია სამომავლოდ გეგმავს პროექტის განხორციელებას, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამა „ქანდაკების“ სახელოსნოს განვითარებას უკავშირდება. მისი თქმით, ლუბლიანას ქუჩაზე დაწესებულება გეგმავს ახალი შენობა-ნაგებობის აშენებას, რომლის პროექტიც მერიასთან შეთანხმების პროცესშია. ამასთან, მან დაადასტურა, რომ აღნიშნული ფაკულტეტი ცალკე სტრუქტურულ ერთეულად არ ჩამოყალიბებულა და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობა დაწესებულებაში იმავე სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარეობს. რაც შეეხება რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ერთ-ერთი მათგანი სახანძრო უსაფრთხოების საკითხს ეხებოდა. კერძოდ, ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე შენობა დაწესებულების საკუთრებაში არ იყო, რის გამოც აკადემიას არ ჰქონდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად უზრუნველეყო შენობის მდგრადობის შემოწმება და, შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების სრულად მოწესრიგება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება „ქართულ ფილმთან“ ახორციელებს მოლაპარაკებებს რომელიც მზად არის, დაეხმაროს აკადემიას შენობის მდგრადობის ექსპერტიზის განხორციელებაში, ვინაიდან აღნიშნული შენობის ექსპერტიზის უზრუნველყოფა მესაკუთრის კომპეტენციას განეკუთვნება. რაც შეეხება სხვა შენობებში სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს, მისი განმარტებით, დაწესებულებამ აღნიშნული საკითხები 112-თან გაიარა და შესაბამისი რეკომენდაციები მიიღო. მისი თქმით, დაწესებულება გეგმავს რეკომენდაციების გათვალისწინებას: მომზადდება შესაბამისი პროექტი და შემდგომ ეტაპობრივად განხორციელდება განსაზღვრული ღონისძიებები.
საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ახალგაზრდა კადრების მოზიდვასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების ანგარიშის მიხედვით, 2026 წლის ზაფხულში დაგეგმილია აკადემიური ვაკანსიების ღია კონკურსის გამოცხადება. იგი დაინტერესდა, კონკრეტულად რა შეღავათები ან მხარდაჭერის მექანიზმებია გათვალისწინებული ახალგაზრდა სპეციალისტების, მათ შორის, პოსტდოქტორანტების მოსაზიდად.
ექსპერტთა ჯგუფის წევრის, თამარ თხელიძის, განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ დაწესებულებაში რამდენიმე პოსტდოქტორანტია

დასაქმებული როგორც კვლევით ცენტრებში, ისე აკადემიურ პოზიციებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვასა და მათ პროგრამებში ჩართვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდა კადრები პროგრამების ხელმძღვანელებადაც არიან წარმოდგენილი, ხოლო დოქტორანტები და მკვლევრები აქტიურად არიან ჩართულნი შესაბამისი დარგების მიმართულებით საქმიანობაში.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნანა იაშვილის, განმარტებით, კლასტერული აკრედიტაციის შემდეგ დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამებმა ფუნქციონირება ორი წლის წინ განაახლა. მისი თქმით, მობილობით მოსარგებლე ერთ-ერთმა დოქტორანტმა გასულ წელს უკვე დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი და მომავალში დაწესებულება მის პოსტდოქტორანტად მოწვევას გეგმავს. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია ახალგაზრდა კადრების დასაქმება ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების პოზიციებზე. მან განმარტა, რომ დაწესებულების ყველა ფაკულტეტზე მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები არ ხორციელდება და სადოქტორო პროგრამები მხოლოდ რესტავრაციის, ხელოვნებათმცოდნეობისა და თეორიისა და მედიახელოვნების ფაკულტეტებზეა წარმოდგენილი. მისი თქმით, დოქტორანტების მიღება შეზღუდულია და თითოეულ პროფესორზე სამი დოქტორანტი მოიაზრება, თუმცა აღნიშნული მიმართულებით სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა სამომავლოდ იგეგმება. მისივე განმარტებით, აკადემიური კონკურსები რამდენიმე დღეში ღია და გამჭვირვალე წესით გამოცხადდება და დაინტერესებულ პირებს მათი ნახვა დაწესებულების ვებგვერდზე შეეძლებათ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დამატებით დაადასტურა, რომ დაწესებულებას ახალგაზრდა კადრები არა მხოლოდ დასაქმებული ჰყავს, არამედ მათი კვლევითი საქმიანობის სასწავლო პროცესში ინტეგრირებაც ხორციელდება, რაც, ექსპერტის შეფასებით, ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად და გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს.
საბჭოს წევრმა, მარიამ ბოჭორიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს უცხოელი მოწვეული პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას უცხოელი პერსონალი არ ჰყავს და დაინტერესდა, დაიწყო თუ არა დაწესებულებამ აღნიშნული მიმართულებით მუშაობა.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნანა იაშვილის, განმარტებით, დაწესებულებას დაემატა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, ასევე კვლევაზე დაფუძნებული ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა. მისი თქმით, ორივე პროგრამაში საერთაშორისო სტუდენტები არიან ჩართული, მათ შორის, ავსტრიელი და ესპანელი სტუდენტები. ამასთან, პროგრამებში ჩართულია ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ შტოკერი, რომელიც ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელიცაა და სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომის თემის ხელმძღვანელობასაც ახორციელებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დამატებით აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებაში არ იყო სათანადოდ დაბალანსებული სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და Erasmus+ პროექტებში. მისი განმარტებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში დაწესებულების ყურადღება განსაკუთრებით ამ საკითხზე იყო მიმართული. აღნიშნული პროცესი სხვა ფაკულტეტებზეც დაიწყო და, მისივე თქმით, სამომავლოდ ამ მიმართულებით დაწესებულების საქმიანობა კიდევ უფრო გაძლიერდება.
საბჭოს წევრმა, ნინო მინდიაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა, როგორ აქვს დაწესებულებას განსაზღვრული დოქტორანტებისთვის მინიმალური სტანდარტი და რამდენად არის გათვალისწინებული სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ორი წელია მოქმედებს.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნანა იაშვილის, განმარტებით, აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის დადგენას ეხება და

კონკრეტულად ამ მიმართულებით რეკომენდაცია არ გაცემულა. თუმცა, მისი თქმით, დაწესებულების სადოქტორო პროგრამები პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევითი პროგრამებია და, ამ თვალსაზრისით, ფაქტობრივად, უნიკალურია. მან ასევე აღნიშნა, რომ მინიმალური სტანდარტის შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 40 კრედიტს მოიცავს, ხოლო დარჩენილი ნაწილი კვლევით პროცესს ეთმობა. ამასთან, მისი განმარტებით, სადოქტორო კვლევის საბოლოო პროდუქტის დაახლოებით 50% აკადემიურ კვლევას წარმოადგენს, რომელიც სრულფასოვანი აკადემიური ნაშრომის, დაახლოებით 140 გვერდის მოცულობით იქნება წარმოდგენილი. ამავდროულად, პროგრამა ითვალისწინებს კვლევის შემოქმედებითი პროცესის ფართოდ წარმოჩენას პრეზენტაციის ფორმით. წარმომადგენელმა, მაგალითად მოიყვანა გასულ წელს ფოტოხელოვნების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, რომლის დროსაც სტუდენტმა წარმოადგინა საინტერესო ექსპერიმენტული პროექტი - ექვსი თვის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე ფოტორეპორტაჟი, რომელიც ეკოლოგიასა და ხანძრებთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:00
დასრულების დრო: 13:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: **13**
წინააღმდეგი: **0**

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 79[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიში არ იქნა მიღებული ცნობად და საბჭომ მიმართა ცენტრს ავტორიზაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით 6 თვის ვადაში.
საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ აკადემიამ მოკლევადიან სტრატეგიული განვითარების გეგმას დაამატოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) კონკრეტული და მართვადი ვადებით. ამის შემდეგ ისინი უნდა აისახოს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც უნდა დაემატოს უფრო მაღალი დონის KPI. (1.2)
2. რეკომენდებულია გაიზარდოს ღია კონკურსების სიხშირე და მასშტაბი ყველა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციისთვის, დეპარტამენტების

ხელმძღვანელების ჩათვლით. ეს უზრუნველყოფს კვალიფიციური კანდიდატების უფრო ფართო არჩევანს და ხელს შეუწყობს დასაქმების პრაქტიკაში გამჭვირვალობის ამაღლებას. (2.1)

3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს და თანაბრად გაანაწილოს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა ყველა დეპარტამენტში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გავლენა და ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველ გლობალურ ჩართულობას. (2.1)
4. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ სტუდენტთა უკუკავშირის სანდოობისა და ვალიდურობის გასაუმჯობესებლად გაამრავალფეროვნოს თავისი მეთოდები ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სავალდებულო გამოკითხვებს დაეყრდნოს. (2.2)
5. რეკომენდებულია მოგვარდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება ორმაგი როლებიდან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების წევრები ასევე იკავებენ პროგრამის ხელმძღვანელების პოზიციებს. (2.2)
6. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ახალი წევრების დამატებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი პროგრამის მართვაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი როლები და პასუხისმგებლობები არ გადაიკვეთება. (2.2)
7. რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. (7.1)
8. რეკომენდებულია ყველა ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები დროულად გამოქვეყნდეს და განახლდეს შესაბამის ვადებში. (7.3)

მესამე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 29 ივნისის №812467 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ნათია ჯოჯუამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ინიციალებით რ.ჰ.ე.ჰ.-მ, 2026 წლის 29 ივნისის № 812467 განცხადებით მიმართა ცენტრს სტუდენტის უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, სტუდენტი მოითხოვდა უნივერსიტეტისთვის გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნებას. აღნიშნული განცხადების საპასუხოდ, დაწესებულებამ განმარტა, რომ სტუდენტს, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაუბრუნდა შესაბამისი თანხა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიცია გაეცნო სტუდენტს, რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ თანხის დაბრუნებისას უნივერსიტეტმა

იხელმძღვანელა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, რომლის თანახმადაც, სტუდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მას უბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურის მხოლოდ 20%. ამასთან, სტუდენტის პოზიციით, ვინაიდან მან სწავლა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გააგრძელა, აღნიშნული რეგულაცია მის შემთხვევაზე არ უნდა გავრცელებულიყო.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი განცხადების, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, განეხილათ შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“ დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:15
დასრულების დრო: 13:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№812467, 29/06/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 22 ივნისის № 776447 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ, ნინო მინდიაშვილმა და ზურაბ ზავთარიამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა ციური დურული.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა ინიციალებით ბ. ქ. ხ.-მ 2026 წლის 22 ივნისის № 776447 განცხადებით მიმართა ცენტრს სტუდენტის უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი მოითხოვდა უნივერსიტეტისთვის გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნებას. აღნიშნულ განცხადების საპასუხოდ დაწესებულებამ განმარტა, რომ სტუდენტს წარმოდგენილი ჰქონდა ვიზის გაცემაზე უარის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზეც მას გადახდილი თანხა დაუბრუნდებოდა. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი განცხადების, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, განეხილათ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 13:25
დასრულების დრო: 13:30

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 22 ივნისის № 776447 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№776447, 22/06/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეხუთე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 3 ივნისის №663413 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ, ნინო მინდიაშვილმა და ზურაბ ზავთარიამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა ციური დურული.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა ინიციალებით დ. ჩ.-მ, 2026 წლის 3 ივნისის №663413 განცხადებით მიმართა ცენტრს, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საკითხს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრმა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია გამოითხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სტუდენტისათვის კუთვნილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცედურა დასრულდა და თანხა 2026 წლის 7 ივლისს სრულად დაუბრუნდა. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა განმცხადებელსაც, თუმცა მის მხრიდან დამატებითი გარემოებები ან პრეტენზიები აღარ წარმოდგენილა. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი განცხადების, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, განეხილათ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“ დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:35
დასრულების დრო: 13:40

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 3 ივნისის №663413 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№663413, 03/06/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეექვსე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 25 და 28 მაისის № 620861 და №634925 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმა ცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა ინიციალებით მ. რ.ჰ.-მ, 2026 წლის 25 და 28 მაისის № 620861 და №634925 განცხადებებით მიმართა ცენტრს, რომელიც შეეხებოდა სწავლის საფასურის დაბრუნების საკითხს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრმა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია გამოითხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებისგან. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სტუდენტისათვის კუთვნილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცედურა დასრულდა და თანხა 2026 წლის 8 ივლისს სრულად დაუბრუნდა. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა განმცხადებელსაც, თუმცა მის მხრიდან დამატებითი გარემოებები ან პრეტენზიები აღარ წარმოდგენილა. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი განცხადების, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, განეხილათ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“ დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:45
დასრულების დრო: 13:50

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ (№620861, 25/05/2026 და №634925, 28/05/2026) საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№620861, 25/05/2026 და №634925 28/05/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეშვიდე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 20 მაისის № 594470 საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს მიმართა და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმა ცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სტუდენტმა, ინიციალებით მ. ჰ.-მ, 2026 წლის 20 მაისის № 594470 განცხადებით მიმართა ცენტრს სწავლის საფასურის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრმა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია გამოითხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სტუდენტისათვის კუთვნილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცედურა დასრულდა და თანხა დაუბრუნდა. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა განმცხადებელსაც, თუმცა მის მხრიდან დამატებითი გარემოებები ან პრეტენზიები აღარ წარმოდგენილა. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი განცხადების, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, განეხილათ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“ დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:55
დასრულების დრო: 14:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ 2026 წლის 20 მაისის № 594470 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№594470, 20/05/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 2026 წლის 5 აგვისტოს 14:0 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ადმინისტრაციული
ეროვნული
ელექტრონული